

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №11

ქ. გარდაბანი

30 სექტემბერი 2024 წელი 13:00 სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი:

სამირ ხიალოვი	ფლორა ასკაროვა
ზაზა ონიანი	მაია შამედოვა
ვუგარ მამედოვი	ლაშა ქართლოსიშვილი
ლევან ნიყარაძე	შახადატ მეხრალიევი
დავით ჭინჭარაული	ლია მეტრეველი
სახმან მირზოევი	კამრან ბაბაევი
რასიმ ისაევი	მირზა მირზოევი
ბეთქილ კახიანი	აბდულაღლი იბრაგიმოვი
ისლამ მამედოვი	ზურაბ კორახაშვილი
გიორგი გურულიშვილი	ლალი კახურაშვილი
ტარიელ ჯანხოთელი	გუსეინკულუ მუსაევი
დავით ებილაშვილი	ანარ მურადოვი
ანი მანჩხაშვილი	ზაბიტ მამედოვი
თორნიკე ქავთარაძე	მეითხან მეითხანოვი
ზურაბ ბენდელიანი	აკიფ ისმაილოვი
თამარ ხაჩიძე	
ეველინა ჩოხელი	

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატი) ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი - ნაია დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - დავით შინჯიკაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი- შორენა ჭუმბურიძე;

განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, ძველთა დაცვის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი-ლეილა ბენდელიანი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-მადონა ბუჭველაშვილი;

დღის წესრიგი

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი: ლეილა ბენდელიანი
თანამომხსენებელი: თამარ ხაჩიძე
2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესაბამისი ნებართვის გარეშე გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ
მომხსენებელი: მადონა ბუჭველაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული
3. „გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ
მომხსენებელი: მადონა ბუჭველაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული
4. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხსენებელი: დავით შინჯიკაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული
5. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხსენებელი: დავით შინჯიკაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული
6. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხსენებელი: დავით შინჯიკაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული
7. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
მომხსენებელი: დავით შინჯიკაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული
8. „სოფელ სართიჭალაში კულტურული მრავალფეროვნების ცენტრის პროექტისა და ამ პროექტის ფარგლებში შერჩეული შესაბამისი ფართის მოწონების შესახებ“
მომხსენებელი: ლეილა ბენდელიანი
თანამომხსენებელი: გიორგი გურულიაშვილი

9. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გურამი თუშიშვილისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

10. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოსო ებილაშვილისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

11. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

მომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

12. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ზურაბ ბენდელიანი

დღის წესრიგი:

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

სხდომის თავმჯდომარემ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ – მიხეილ გედეხაურმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა. საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად.

დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ლეილა ბენდელიანი

თანამომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესაბამისი ნებართვის გარეშე გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: მადონა ბუჭველაშვილი

თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული

3. „გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი: მადონა ბუჭველაშვილი

თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული

4. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით შინჯიკაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული

5. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით შინჯიკაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული

6. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით შინჯიკაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული

7. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით შინჯიკაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული

8. „სოფელ სართიჭალაში კულტურული მრავალფეროვნების ცენტრის პროექტისა და ამ პროექტის ფარგლებში შერჩეული შესაბამისი ფართის მოწონების შესახებ“

მომხსენებელი: ლეილა ბენდელიანი
თანამომხსენებელი: გიორგი გურულიშვილი

9. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გურამი თუშიშვილისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

10. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოსო ებილაშვილისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

11. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

მომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

12. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ზურაბ ბენდელიანი

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა ანარ მურადოვმა, აკიფ ისმაილოვმა, მეითხან მეითხანოვმა, ზაბიტ მამედოვმა და ლალი ვახურაშვილმა ბოიკოტის ნიშნად დატოვეს საკრებულოს სხდომა და მონაწილეობა არ მიიღეს საკითხების განხილვაში.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 28
წინააღმდეგი – 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელმა-ლეილა ბენდელიანმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი-„გარდაბნის მუნიციპალიტეტში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ და განმარტა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა წახალისების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 სექტემბრის №18 დადგენილების თანახმად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ოქროს მედალოსანი მოსწავლეების დაჯილდოება ხდებოდა 400 (ოთხასი) ლარით, ხოლო ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეების 300 (სამასი) ლარის ოდენობით. ახალი დადგენილების პროექტის მიღების საფუძველზე იგეგმება ოქროს/ვერცხლის მედალოსანების ერთჯერადი ფულადი წახალისების გაზრდა და შესაბამისად განისაზღვრება შემდეგნაირად: ოქროს მედალოსანი მოსწავლეები დაჯილდოვდებიან 500 (ხუთასი) ლარით, ხოლო ვერცხლის მედალოსანი მოსწავლეები - 400 (ოთხასი) ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა დადგენილებას-გარდაბნის მუნიციპალიტეტში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 28
წინააღმდეგი – 0

მიღებულია დადგენილება №24 - გარდაბნის მუნიციპალიტეტში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“.

საკითხი 2.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესაბამისი ნებართვის გარეშე გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა მადონა ბუჭველაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი-**„გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესაბამისი ნებართვის გარეშე გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“** და განმარტა, რომ საქართველოს კანონში „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ 2023 წლის 20 სექტემბერს შესული ცვლილების (დოკუმენტის ნომერი: 3480-XIIIმს-XXმ) საფუძველზე, ამავე კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად იმ საგნის (საქონლის) კონფისკაცია, რომელიც ამ კოდექსის 153^ა მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის უშუალო ობიექტი იყო, გულისხმობს მისი შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში იძულებით, უსასყიდლოდ გადაცემას. ასევე, ამავე კოდექსის 153^ა მუხლის შენიშვნის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტისთვის სავალდებულო გახდა, უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცება. მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასამტკიცებლად წარმოდგენილი „გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესაბამისი ნებართვის გარეშე გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი“.

საკრებულოს წევრმა ფლორა ასკაროვამ განაცხადა, რომ ქ. გარდაბანში არსებული ბაზრის ტერიტორია არ არის საკმარისი ყველა გარე მოვაჭრის დასათევად და აუცილებელია გამოინახოს დამატებითი ფართი მათი განთავსებისთვის, დამატებით ტერიტორიის გამოყოფა, თუნდაც დროებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემოდგომის სეზონზე, როცა გლეხებს გასაყიდად გამოაქვთ თავისი მოყვანილი ხილი და ბოსტნეული, რაც ბევრი ოჯახისთვის შემოსავლის ერთადერთი წყაროა.

საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულ მოსაზრებას და მიზანშეწონილად მიიჩნიეს დროებით გადაედოთ დადგენილების პროექტის მიღება. ამასთან, დადგენილების პროექტში არ არის განსაზღვრული კონკრეტულ სუბიექტთა წრე, ვისაც დაევალება კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულება. შესაბამისად, დადგენილების პროექტი დახარვეზდა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა დადგენილებას **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესაბამისი ნებართვის გარეშე გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“**.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე –1

წინააღმდეგი –27

საკითხი 3.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა მადონა ბუჭველაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი-„გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 2023 წლის 2 მაისის (დოკუმენტის ნომერი: 2814-XIმს-Xმპ) და 2023 წლის 20 სექტემბრის ცვლილებების (დოკუმენტის ნომერი: 3480-XIIIმს-Xმპ) თანახმად, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო განსაზღვრავს 153³ მუხლის (გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე) პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებისა და 166² მუხლით (ვანდალიზმი) გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების უფლებამოსილ პირს/მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულს. შესაბამისად დადგენილების მე-2 მუხლს (რეაგირებისთვის გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის სამსახურის უფლებამოსილებას დაქვემდებარებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები) დაემატება ზემოთ აღნიშნული მუხლები.

გარდა ამისა, საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსში“ 2023 წლის 2 ნოემბრის (დოკუმენტის ნომერი: 3656-XIIIმს-Xმპ) ცვლილების თანახმად 2023 წლის 28 დეკემბერს N26 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №14 დადგენილება (სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.161.016565), შესაბამისად საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 196¹, 196³, 196⁶, 197-ე, 197¹, 198-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განსახილველად უფლებამოსილ ორგანოს აღარ წარმოადგენს მუნიციპალიტეტი, ამიტომ დადგენილების პროექტიდან ამოღებულია მე-3 მუხლი.

ასევე, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ცვლილება შევა „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და საჯარიმო ქვითრის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის“ მე-3 მუხლის (საჯარიმო ქვითრის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსება და მათი შინაარსი) პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებში და შესაბამისობაში მოვა დადგენილების ძირითად ნაწილთან. კერძოდ: წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებულ იქნება საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 196¹, 196³, 196⁶, 197-ე, 197¹, 198-ე მუხლები და დაემატა საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 153³ მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილები და 166² მუხლი; ასევე წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტიდან ამოღებული იქნება საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 196¹, 196³, 196⁶, 197-ე, 197¹, 198-ე მუხლები და ამავე წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატა საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 153³ მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილები და 166² მუხლი, რომელიც ჩამოყალიბდება დადგენილების პროექტით წარმოდგენილი რედაქციით.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა დადგენილებას- „გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

მიღებულია დადგენილება №25 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირებისთვის საჭირო წესისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი 4.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა - დავით შინჯიკაშვილმა, საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი-„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მანვე განმარტა, რომ ელექტრონული აუქციონის ფორმით განხორციელდა უძრავი ქონების პრივატიზება და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 24 სექტემბრის №18-182426832 წერილით საკრებულოში წარმოდგენილი იქნა ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზირებული უძრავი ქონების ნუსხა, გამომდინარე აქედან, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №2 განკარგულებაში საჭიროა შევიდეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან ამოღებული იქნას მითითებული ქონება.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №66 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი 5.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - დავით შინჯიკაშვილმა, საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი-„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მანვე განმარტა, რომ ელექტრონული აუქციონის ფორმით განხორციელდა უძრავი ქონების პრივატიზება. გამომდინარე აქედან, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №3 განკარგულებაში საჭიროა შევიდეს ცვლილება და უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმიდან ამოღებული იქნას მერის 2024 წლის 24 სექტემბრის №18-182426830 წერილით წარმოდგენილი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზირებული უძრავი ქონება.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას -„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №67 -„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 იანვრის №3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი 6.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა - დავით შინჯიკაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი-„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მანვე განმარტა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 24 სექტემბრის №18-182426829 წერილით საკრებულოში დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა საკითხი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში ცვლილების შეტანის შესახებ და საკრებულოს წევრებს განსახილველად წარუდგინა საპრივატიზაციო ქონების ნუსხა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას-„მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №68- „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი 7.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა - დავით შინჯიკაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი- „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მანვე განმარტა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 24 სექტემბრის №18-1824126827 წერილით საკრებულოში დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა საკითხი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ და საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნული გეგმა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას- „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №69- „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის №16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი 8.

„სოფელ სართიჭალაში კულტურული მრავალფეროვნების ცენტრის პროექტისა და ამ პროექტის ფარგლებში შერჩეული შესაბამისი ფართის მოწონების შესახებ“

მომხსენებელმა, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და გენდერული თანასწორობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელმა ლეილა ბენდელიანმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი- „სოფელ სართიჭალაში კულტურული მრავალფეროვნების ცენტრის პროექტისა და ამ პროექტის ფარგლებში შერჩეული

შესაბამისი ფართის მოწონების შესახებ“ და განმარტა, რომ განკარგულების პროექტის მიღების მიზანია ინკლუზიური ინტერაქტიული სივრცის შექმნა, რომელიც მოემსახურება სხვადასხვა კულტურული იდენტობის ადამიანებს და მისცემს მათ საშუალებას მოაწყონ შეხვედრები, გაცვალონ იდეები, გამოცდილება და გააღრმავონ ურთიერთგაგება. აღნიშნული ხელს შეუწყობს კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაციას, ინტერკულტურული დიალოგის განვითარებას და ტოლერანტობის გაზრდას საზოგადოებაში. ამის პარალელურად, ის იქნება ადგილობრივი თემის შეკრებისა და განვითარების ცენტრი.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

- კულტურული მრავალფეროვნებისადმი ტოლერანტობის გაზრდა საზოგადოებაში.
- ინტერკულტურული დიალოგის განვითარება.
- ადგილობრივი თემის კულტურული ცხოვრების გამდიდრება.
- ახალგაზრდების ჩართულობა, შესაძლებლობები მათი ნიჭის გამოვლენისა და განვითარებისთვის.
- ადგილობრივი იდენტობის გაძლიერება.
- ტურიზმის განვითარება.

პროექტის ძირითადი არსი:

სოფელი სართიჭალა, თავისი მრავალეთნიკური შემადგენლობით, წარმოადგენს იდეალურ ადგილს კულტურული მრავალფეროვნების ცენტრის შესაქმნელად. მისი მეშვეობით შესაძლებელი იქნება რეგიონის კულტურული ცხოვრების და ახალგაზრდული შემოქმედების განვითარებისა და კულტურული ტურიზმის ზრდისთვის ხელის შეწყობა. ცენტრი გახდება სივრცე, სადაც შეიკრიბებიან სხვადასხვა ასაკისა და ინტერესების მქონე ადამიანები, რათა გაიზიარონ კულტურული იდენტობა, შექმნან ახალი იდეები და განავითარონ თავიანთი შემოქმედებითი პოტენციალი. პროექტი მიზნად ისახავს სხვადასხვა კულტურული აქტივობების განხორციელებას და საზოგადოების ფართო ჩართულობას. პროექტი ხელს შეუწყობს სოფელ სართიჭალის კულტურული ცხოვრების გააქტიურებას და რეგიონის განვითარებას. ცენტრი შეიძლება გახდეს საწყისი წერტილი სოფლის ტურისტული მარშრუტების შექმნისთვის.

ასევე, სოფელ სართიჭალაში კულტურული მრავალფეროვნების ცენტრის პროექტთან დაკავშირებული რიგი გადაწყვეტილებების მისაღებად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ ცენტრისთვის შერჩეული იქნა ობიექტი (ს/კ 81.12.20.569. მესაკუთრე: ელმირა ორთოიძე), მასზე განთავსებული შენობა/ნაგებობა წარმოადგენს შვებულებული კულტურის შენობას, შენარჩუნებული აქვს პირველადი სახე (გადაკეთების გარეშე) და ისტორიული მნიშვნელობის მატარებელია. ხელოვნებათმცოდნე ნესტან თათარაშვილის მიერ გაცემული დასკვნის მიხედვით, შვებულებული კულტურის სახლი წარმოადგენს ისტორიულ ღირებულების მქონე შენობას, თუმცა არ არის შეტანილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში.

შენობის შექმნით და ადაპტირებით კულტურული ცენტრისთვის, შენარჩუნებული იქნება რეგიონის ისტორიული მემკვიდრეობა და შეიქმნება ადგილი, სადაც სხვადასხვა კულტურების წარმომადგენლები შეძლებენ შეხვედრას და ურთიერთობას. გარდა ამისა შენობის ავთენტური სახის შენარჩუნება გაზრდის ცენტრის უნიკალურობას, რაც სრულად შეესაბამება კულტურული მრავალფეროვნების ცენტრის კონცეფციას.

შენობის შესაძენი ღირებულება განისაზღვრება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - „სოფელ სართიჭალაში კულტურული მრავალფეროვნების ცენტრის პროექტისა და ამ პროექტის ფარგლებში შერჩეული შესაბამისი ფართის მოწონების შესახებ“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №70 - „სოფელ სართიჭალაში კულტურული მრავალფეროვნების ცენტრის პროექტისა და ამ პროექტის ფარგლებში შერჩეული შესაბამისი ფართის მოწონების შესახებ“.

საკითხი 9.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გურამი თუშიშვილისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ“

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი- **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გურამი თუშიშვილისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ“** და განმარტა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში განსახილველად შევიდა საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2024 წლის 19 სექტემბრის №76 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2024 წლის 15 სექტემბერს ქ.ბათუმში გამართულ აბსოლუტურ ფალავნობაზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრი გურამი თუშიშვილი (3/წ. | გახდა +100 კგ. წონითი კატეგორიის ფალავანი და ასევე აბსოლუტური ფალავანი, მისი მწვრთნელია გიორგი შინჯიკაშვილი (3/წ.

საკრებულოს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N21 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის: **გურამ თუშიშვილის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 3 000 (სამი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის- **გიორგი შინჯიკაშვილის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 1500 (ათას ხუთასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გურამი თუშიშვილისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ“**.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №71 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გურამი თუშიშვილისა და მწვრთნელის გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ“

საკითხი 10.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოსო ებილაშვილისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ“

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი- **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოსო ებილაშვილისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ“** და განმარტა, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიაში განსახილველად შევიდა საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის 2024 წლის 19 სექტემბრის №75 წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2024 წლის 15 სექტემბერს ქ. ბათუმში გამართულ აბსოლუტურ ფალავნობაზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრი სოსო ებილაშვილი (კ/წ. გახდა 100 კგ. წონითი კატეგორიის ფალავანი, მისი მწვრთნელია ბადრი ბედიანაშვილი (კ/წ.

საკრებულოს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N21 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის: **სოსო ებილაშვილის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 2 000 (ორი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“ და მწვრთნელის- **ბადრი ბედიანაშვილის** ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით გამოიყოს 1 000 (ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას- **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოსო ებილაშვილისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ“.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -28

წინააღმდეგი - 0

მიღებულია განკარგულება №72- **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოსო ებილაშვილისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ“.**

საკითხი 11.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ნიჟარაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი- **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“** და განმარტა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 თებერვლის N4 დადგენილებით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურება მოხდება განსახილველი განკარგულების პროექტის მიხედვით და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა)

აუნაზღაურდებათ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული მ/წ სექტემბრის თვის ხარჯები დანართის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №73 - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.**

საკითხი 12.

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ - ზურაბ ბენდელიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საკრებულოს წევრმა აბდულაალი იბრაგიმოვმა დატოვა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, შემდეგ კი საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“** და განმარტა, რომ პროექტის თანახმად მეოთხე კვარტალში გათვალისწინებულია შემდეგი გეგმიური საკითხების განხილვა:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია- გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების 9 (ცხრა) თვის ანგარიშის მოსმენა.
2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუსაობის შესახებ.
3. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის ანგარიში გარდაბნის მუნიციპალიტეტში 2024 წლის პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტით და რეგიონალური განვითარების ფონდით დაფინანსებული ინფრასტრუქტურული და სამშენებლო პროექტების შესრულების შესახებ.
4. ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება № 74- **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

მიხეილ გედეხაური

